წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 8

ქ. წალკა; 31.07. 2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ჯემალ ნაკაიძე, ვუსალ უზუნალოვი, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მერაბ იაკობაძე, დიანა პაქსაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფეოხარი პარასკევოვ;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე;**
სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:35 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულების პროექტი "მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

2. განკარგულების პროექტი "მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ივლისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულომ ღია კენჭისყრით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: ფეოხარი პარასკევოვ - მერის მოადგილე;

თანამომხსენებელი: ლევონ მარკოსიან - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;

2. განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: ფეოხარი პარასკევოვ - მერის მოადგილე;
თანამომხსენებელი: ლევონ მარკოსიან - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;

3. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ივლისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

/**მომხსენებელი:** ჯემალ ბერიძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი "მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელმა: ფეოხარი პარასკევოვმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი რომელიც ეხება წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჯამურად 150 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულემის მიწის ნაკვეთების (საძოვარი) შპს „სელფი მობაილ"-ს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას, საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის 18000 ლარით განსაზღვრით;
თანამომხსენებელმა: ლევონ მარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (23 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.11924213001 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი "მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელმა: ფეოხარი პარასკევოვმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი რომელიც ეხება წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ოზნიში უძრავი ქონების არასაცხოვრებელი ფართის (37,73 კვ.მ.) ს.ანესიანისთვის გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას. წლიური საიჯარო ქირის 600 ლარის განსაზღვრით;
თანამომხსენებელმა: ლევონ მარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (23 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.119242132 თან ერთვის);

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ივლისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (23 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.119242133 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი

ი.გიგინეიშვილი